აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №14

3 ივნისი 2004 წ ქ. ბათუმი

ინსტრუქციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისს ჩასატარებელი არჩევნებისათვის ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამომრჩევლის მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესის შესახებ, დამტკიცების თაობაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისს ჩასატარებელი არჩევნებისათვის ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამომრჩევლის მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესის თაობაზე.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე

ინსტრუქცია
(ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამომრჩევლის მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესის თაობაზე)

1. უსკოს მიერ დამტკიცებული ამომრჩევლის მოწმობის ფორმები უსკოს მიერ ამ ინსტრუქციის მიღებიდან 2 დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს. იმის გამო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიას სპეციალური ბეჭდის გამოყენების უფლება ენიჭება მხოლოდ კენჭისყრის დღეს, რაც შეუძლებელს ხდის ამომრჩევლის მოწმობის საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით დამოწმებას, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები უსკოდან მიღებულ ფორმებს ადასტურებენ საოლქო კომისიის ბეჭდით, რის შემდეგაც, ფორმების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საოლქო კომისიები ამომრჩევლის მოწმობის ფორმებს ანაწილებენ საუბნო საარჩევნო კომისიებს შორის.
2. ამომრჩეველთა მოწმობების ნუმერაციას ახდენს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ამ მოწმობების გაცემისას. მოწმობები ინომრება თანამიმდევრობით; ნომრის საწყისი ციფრები აღნიშნავს საარჩევნო ოლქის ნომერს, მომდევნო საარჩევნო უბნის ნომერს, ხოლო შემდეგი ციფრები შეესაბამება უშუალოდ ამომრჩევლის მოწმობის ნომერს მისი გაცემის რიგის მიხედვით.
3. ამომრჩევლის მოწმობა გაიცემა მხოლოდ იმ ამომრჩეველზე, რომელიც ცხოვრობს სოფელში, თემსა თუ დაბაში და არ გააჩნია აჭარის ა.რ. საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ჩამონათვლიდან ერთ-ერთი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია ამომრჩეველთა სიაში გაერთიანებისა და ხმის მიცემისათვის. სოფლის, თემის ან დაბის ტერიტორიაზე ამომრჩევლის ცხოვრების ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული საბუთით. თუკი სოფლის, თემის ან დაბის ტერიტორიაზე გახსნილია ერთზე მეტი საარჩევნო უბანი, მაშინ

ზემოთაღნიშნულ საბუთში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცხოვრობს ამომრჩეველი.

4. საუბნო საარჩევნო კომისია ამოწმებს, არის თუ არა შეტანილი ამომრჩევლის მოწმობის მომთხოვნი ამომრჩეველი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში. თუკი ამომრჩეველი შეყვანილია საარჩევნო სიაში, მაგრამ არ არის მითითებული მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა ან/და ნომერი, საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველზე გასცემს ამომრჩევლის მოწმობას, ხოლო საარჩევნო სიის იმ გრაფაში, სადაც მიეთითება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა და ნომერი, აკეთებს აღნიშვნას "ამომრჩევლის მოწმობა" და უთითებს ამომრჩევლის მოწმობის ნომერს.

5. იმ შემთხვევაში, თუკი ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში, საუბნო საარჩევნო კომისია გასცემს ამომრჩეველზე ამომრჩევლის მოწმობას, რის შემდეგაც ახდენს მის სიაში შეყვანას ამ ინსტრუქციის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

6. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩევლის მოწმობის გაცემის ფაქტს ასახავს საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც მიუთითებს ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოს mier gacemuli საბუთის ნომერს, რომლის საფუძველზეც მოხდა ამომრჩევლის მოწმობის გაცემა.

7. ამომრჩევლის მოწმობის გაცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვა დასაშვებია როგორც ზეპირად, ასევე წერილობით კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა (15 ივნისისა). კომისია ასეთ განცხადებას განიხილავს იმავე დღეს, საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით (საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ღია სხდომაზე) და პასუხს აცნობებს განმცხადებელს. ზემოთაღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე, საუბნო საარჩევნო კომისიები დაუყოვნებლივ აცნობებენ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებზეც გაცემულია ამომრჩევლის მოწმობა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისია ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის უსკოს.

8. კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისია ბიულეტენების გაცემისას, იმ ამომრჩეველს, რომელზეც გაიცემა ბიულეტენი, ჩამოართმევს ამომრჩევლის მოწმობას. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისია ერთმანეთს ადარებს ამომრჩევლებისათვის ჩამორთმეული ამომრჩევლის მოწმობათა და ამომრჩეველთა სიებში შესაბამისი ხელმოწერების რაოდენობას და შედარების შედეგებს ასახავს ჩანაწერთა წიგნში.

9. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ამომრჩევლის მოწმობები, ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოს მიერ გაცემულ საბუთებთან ერთად ითვლება, ილუქება დადგენილი წესით და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად ეგზავნება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
10. ამომრჩეველთა მოწმობები და ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული საბუთები საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ინახება არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან (გასაჩივრების ვადებისა და სასამართლო პროცესების დასრულების ჩათვლით) 10 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება.